განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ეკოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შეფასების თარიღ(ებ)ი
10.03.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი
14.04.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245 428 158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ეკოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ეკოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	გარემოსმცოდნეობა 0521
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №86 24.07.2015

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვაჟა ტრააპიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ბრეგვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიკო შარაბიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „ეკოლოგია“ მოქმედებს 2015 წლიდან ახალია და მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე ეკოლოგიური განათლების მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადებას, საქართველოს ეკოლოგიური პრობლემატიკიდან გამომდინარე პროგრამა აქტუალურია და მისი განხორციელება მნიშვნელოვანია. მასში ჩართულია კვალიფიციური პერსონალი. პროგრამა უზრუნველყოფს მიზნების შესაბამისად სწავლის შედეგების მიღწევას.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 10 მარტს, რომლის დროსაც გაიმართა შეხვედრები ბსუ-ს ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამა-ში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრე-ბულებთან და სტუდენტებთან, მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შემოწმდა მოქმედი რეგულაციების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვ-ნებთან; სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობასია მოთხოვნებთან; სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

კურუკულუმის მიხედვით მეორე სემესტრში კრედიტების რაოდენობა შეადგენს 29 კრედიტს, ხოლო მესამე სემესტრში 31 კრედიტს, შესაბამისად მეორე და მესამე სემესტრში განისაზღვროს კრედიტების თანაბარი რაოდენობა 30 კრედიტი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ინტერნაციონალიზაციის სეგმენტის გაძლიერება, რაც გამოიხატება გაცვლით პროგრამებში როგორც პერსონალის, ისე სტუდენტების აქტიურ მონაწილეობაში და უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობის გაძლიერებაში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - პროგრამის მნიშვნელოვანი უპირატესობაა პრაქტიკის (საწარმოო და სასწავლო) და კვლევითი პროექტისათვის სავალდებულო კრედიტების გათვალისწინება. რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერებას.
  - დასაქმების მაღალი მაჩვენებელი

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თანამედროვე გლობალურმა ტენცენციებმა მნიშვნელოვნად შეცვალა გარემოში მიმდინარე პროცესები. საქართველო, ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, დგას ეკოლოგიური პრობლემების წინაშე. აქედან გამომდინარე ბუნებრივია იმ სპეციალიტების მომზადება, რომელიც შეძლებს ეკოლოგიის და გარემოს დაცვის თეორიულ და პრაქტიკული საკითხების შესწავლას ძალზე მნიშვნელოვანია. პროგრამის ძირითადი მიზნია თანამედროვე ეკოლოგიური განათლების მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და საფუძვლიანი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადება, რომელიც შეძლებს, მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში; ქვეყნის პრიორიტეტებთან (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, საკვების უსაფრთხოება, ენერგეტიკა) თანხვედრის გამო გარემოს დაცვა საქართველოში ერთ-ერთ აქტუალურ სფეროს წარმოადგენს. დღეისათვის მნიშვნელოვანია გარემოს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დარღვეული ეკოლოგიური წონასწორობების აღდგენის, საარსებო გარემოზე ადამიანის ზემოქმედების შემცირების, უარყოფითი ეკოლოგიური შედეგების პროგნოზორების პრევენციული ღონისძიებების ჩატარება. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი აქტუალურია და მის გადასაჭრელად საჭიროა კვალიფიციური ეკოლოგების მომზადება. არსებული რესურსების გათვალისწინებით პროგრამის მიერ დასახული მიზნები რეალისტური და მიღწევადია, ასევე ითვალისწინებს დარგის განვითრებისადმი სახელწიფოს მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საგანმანათლებლო პროგრამა
2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა.
3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა.
4. ფაკულტეტის დებულება.
5. ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ რეგულაციებს.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება კერძოდ, კურსადამთავრებულს:

- ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა ეკოსისტემების ტიპების, სტრუქტურულ-ფუნქციური თავისებურებების, ბიომების გავრცელების კანონზომიერებების და დაცვის სტრატეგიების, ბუნებათსარგებლობის, რადიაციული, ეკოტოქსიკოლოგიური და ბიოუსაფრთხოების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ;
- ეცოდინება გარემოს დაცვის, სოციალური და ურბანული ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემების კვლევის, ანალიზის, შეფასების და გადაჭრის მეთოდები;
- ეცოდინება ეკოლოგიური ეთიკის ძირითადი ნორმები და პრინციპები,

ეკოლოგიური კონტროლის და გარემოს დაცვის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის, გარემოს დაცვის სამართლებრივი საფუძვლები;

- შეძლებს მონაცემთა ბაზებისა და კომპიუტერულ-სტატისტიკური პროგრამების, გარემოს დაცვის თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებას;
- შეეძლება საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების მართვის ტექნოლოგიების გამოყენება, ექსპერიმენტის დაგეგმვა, ლაბორატორიული ანალიზების ჩატარება და სათანადო დასკვნის გაკეთება, გარემოს მდგომარეობის კონტროლი, ექსპერტიზა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება, რადიაციის ზემოქმედების შედეგად ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე ქიმიური და ბიოქიმიური პროცესების შეფასება;
- შეძლებს კლიმატის ცვლილებებისა და გლობალური დათბობის გამომწვევი ფაქტორების, ეკოსისტემაში მიმდინარე ცვლილებების, მოსალოდნელი შედეგებისა და რისკების შეფასებას;
- შეძლებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელებას სამეცნიერო ეთიკის ძირითადი პრინციპებისა და ციტირების კულტურის დაცვით;

პროგრამის ორიენტირებულობას დასაქმების ბაზარზე, ცხადყოფს კურსდამთავრებულთა და მაგისტრანტთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და დამსაქმებელთა ინტერესი.

სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
2. ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი
3. დამსაქმებელთა გამოკითხვა
4. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა
5. სწავლის შედეგების შეფასების ელექტრონული სისტემა
6. სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ბსუ-ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა არის უზრუნველყოფილი. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ როგორც საერთო სამაგისტრო გამოცდას, ისე შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებს უცხო ენასა და სპეციალობაში და დადგენილ ვადებში გააფორმებენ ხელშეკრულება ბსუ-სთან. ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე შესაძლებელია შიდა ან/და გარე მობილობით სწავლის გაგრძელება. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია, როგორც მომავალი მაგისტრანტებისათვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირთათვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები - ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესი; - საგანმანათლებლო პროგრამა; - ბსუ-ს ვებ გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო მოიცავს 120 კრედიტს (ECTS). რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მაგისტრატურის საფეხურის აღმწერის შესაბამისი დონით. სასწავლო გეგმის მიხედვით ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებს დათმობილი აქვს 80 კრედიტი, არჩევით სასწავლო კურსებს 10 კრედიტი, ხოლო სამაგისტრო ნაშრომს 30 კრედიტი. პროგრამის სტრუქტურა ძირითად ნაწილში ლოგიკურია უზრუნველყოფს სწავლის შედგების მიღწევას, კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური; პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ასახულია სილაბუსებში. პროგრამა წარმოდგენილია თანმიმდევრული და დღევანდელობასთან ადაპტირებული, თანამედროვე სამეცნიერო და სასწავლო ინფორმაციის შემცველი სასწავლო კურსებით. პროგრამის მნიშვნელოვანი უპირატესობაა პრაქტიკის (საწარმოო და სასწავლო) და კვლევითი პროექტისათვის სავალდებულო კრედიტების გათვალისწინება. რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერებას. სამაგისტრო პროგრამისათვის სასურველია სემესტრებში კრედიტების თანაბარი რაოდენობის გადანაწილება, კურუკულუმის მიხედვით მეორე სემესტრში კრედიტების რაოდებობა შეადგენს 29 კრედიტს, ხოლო მესამე სემესტრში 31 კრედიტს, შესაბამისად

მიზანშეწონილია მეორე და მესამე სემესტრში განისაზღვროს კრედიტების თანაბარი რაოდენობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამა - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - სასწავლო კურსების სილაბუსები - ინტერვიუები
რეკომენდაციები: სემესტრებში კრედიტების თანაბარი რაოდენობის გადანაწილება, კურუკულუმის მიხედვით მეორე სემესტრში კრედიტების რაოდებობა შეადგენს 29 კრედიტს, ხოლო მესამე სემესტრში 31 კრედიტს, შესაბამისად მიზანშეწონილია მეორე და მესამე სემესტრში განისაზღვროს კრედიტების თანაბარი რაოდენობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/ მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
საგანმანათლებლო პროგრამის „ეკოლოგია“ სასწავლო კურსები ქრონოლოგიურად ვითარდება. დისციპლინების შესწავლა მიმდინარეობს ლოგიკური თანმიმდევრობით და ატარებს კომპლექსურ ხასიათს. ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული საგანი მომდევნო კურსის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს. ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგს, რაც დასტურდება კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლის შედეგების სქემაში მოცემული ინფორმაციით. ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება მაგისტრატური დონეს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები, თითოეული სასწავლო კურსისთვის

გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; სწავლის შედეგების მისაღწევად შერჩეულია შესაბამისი მეთოდები და აქტივობები, რომელთა შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა, როგორც სასწავლო კურსის სპეციფიკა და შინაარსი, ასევე მისაღწევი შედეგები. სწავლის შედეგების მიღწევის გზები და შეფასების კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვრა სასწავლო კურსის სწავლების ფორმატი (ლექცია, ლაბორატორიული მუშაობა, ჯგუფში მუშაობა და ა. შ.), ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა. პროგრამის შინაარსის და კომპეტენციების განსაზღვრა განაპირობა პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციამ და არსებულმა რესურსებმა და მიმდინარე სასწავლო პროცესის შეფასების შედეგებმა. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი პერმანენტულად ახორციელებს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალებით სალექციო თემატიკის გამდიდრებას და შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფას. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამა - სასწავლო კურსის სილაბუსები - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა - ბიბლიოთეკის კატალოგი - ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. საწარმოო და სასწავლო-საველე პრაქტიკა პროგრამის აუცილებელი კომპონენტია. მისი მიზანია, საუნივერსიტეტო განათლების თეორიული ცოდნის ტრანსფერის საფუძველზე, ხელი შეუწყონ სტუდენტებს აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარებაში. სამეცნიერო კვლევითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს სასწავლო კურსი - კვლევითი პროექტი, რომელიც კურსდამთავრებულთა რეკომენდაცის საფუძველზე იქნა დამატებული საგანმანათლებლო პროგრამაში. სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია ლაბორატორიული სამუშაოები და ჯგუფში მუშაობა, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში ლაბორატორიული და პრაქტიკული უნარების განვითარებას. მნიშვნელოვანი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომის შესრულება, რომელშიც გათვალისწინებულია დამოუკიდებელი კვლევის ელემენტები. სამაგისტრო ნაშრომი არის მაგისტრის მიერ შესრულებული სამეცნიერო კვლევის შედეგი. ბსუ უზრუნველყოფს სტუდენტთა სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვის ხელშეწყობას, რაც კიდევ უფრო განავითარებს სამეცნიერო-კვლევით და ტრანსფერულ უნარებს. ბსუ-ში ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევების სამსახური და <u>სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი.</u> სტუდენტები აქტიურად მონაწილობენ სამეცნიერო კვლევით პროექტებში და სხვადასხვა სახის სამეცნიერო კვლევით პროქეტებში. შემუშავებულია და მოქმემდებს სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებული სტუდენტების წამახალისებელი მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. საგანმანათლებლო პროგრამა 2. შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები 3. ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკა 4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი 5. ბსუ-ს ვებ-გვერდი 6. ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სწავლება-სწავლის მეთოდებიდან გამოყენება ისეთი მეთოდები როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ლაბორატორიული, დამოუკიდებელი მუშაობა და სხვა. აღნიშნული მეთოდები მოიცავს შემდეგ აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი, ჯგუფური, დემონსტრირების, სინთეზის, ვერბალური, წერითი მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, პროექტზე მუშაობა და პრეზენტაცია, დედუქციური, ანალიზის და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. თითოეული საგნის სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი თუ რა მეთოდების გამოყენება ხდება კონკრეტული სასწავლო კურსის ათვისებისას, ძირითად ნაწილში შესაბამისობაშია სტანდარტებთან. ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა ორიენტირებულია სტუდენტზე, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და მიმართულია კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. საგანმანათლებლო პროგრამა 2. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები); 3. სწავლება/სწავლის მეთოდები 4. ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სილაბუსების შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სუდენტების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურების შესაბამისად. შუალედური და დასკვნითი შეფასებები მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, თითოეულს მიენიჭება განსაზღვრული ქულების რაოდენობა. აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები იცნობენ შეფასების ფორმებს, კომპონენტებს და მეთოდებს. ლექტორი საჭიროებისამებრ აწვდით მათ ინფორმაციას შეფასების შესახებ, ხდება შედეგების განხილვა. სტუდენტები ასევე იცნობენ უნივერსიტეტში მოქმედ გასაჩივრების სისტემას. მათ შეძლეს დაესახელებინათ კონკრეტული მაგალითები, როდესაც მათ გამოთქვეს უკმაყოფილება მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით, რასაც ადეკვატური რეაგირება მოჰყვა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ აღნიშნულ შემთხვევებში მიიღებს ამომწურავი ინფორმაცია, შესაბამისად, მექანიზმი მათთვის სრულიადნ მისაღებია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის სილაბუსები o გასაუბრების შედეგები o პროგრამის სწავლის შედეგების რუკა o სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების	✓			

შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა უნივერსიტეტთა ურთიერთობა რეგულირებულია უნივერსიტეტის დონეზე შესაბამისი დოკუმენტებით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს სტუდენტთა უფლებებს და მოვალეობებს სწავლა-სწავლების პროცესში. აღნიშნული დოკუმენტაციით უზრუნველყოფილია სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობა სწავლების პროცესში. აღნიშნული დოკუმენტაციით სარგებლობა გადამოწმდა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გასაუბრებების შედეგად. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუბზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობასია მოთხოვნებთან. ინტერვიუებში მონაწილეობდნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები. მათ დაადასტურეს, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები, შესაბამისად მათგან მიღებული რჩევები და რეკომენდაციები პროგრამის განვითარებაში ასახულია, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინიცირებით, სავალდებულო საგნების ნაწილი გადავიდა არჩევითში, საველე საწარმოო პრაქტიკა ორ სემესტრზე გაიწერა, ასევე მოხდა ორი მოდულის გაერთიანება (გამოყენებითი და გარემოს დაცვა), დაემატა ახალი სავალდებული კურსი: კვლევითი პროექტი. ინტერვიუებმა ცხადჰყო, რომ ადმინისტრაცია ცდილობს სტუდენტებს დახმარება გაუწიოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხების მოგვარებაში, უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ელექტრონული სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს სემესტრის დასაწყისადან, მისი მსვლელობისას და დასრულების შემდეგ თვალი ადევნოს მის აკადემიურ მოსწრებას და გაეცნოს კურსების სილაბუსებს. სტუდენტებმა ასევე დაადასტურეს, რომ აკადემიური პერსონალი კურსის დასაწყისში დეტალურად აცნობს მათ სასწავლო კურსის სილაბუსს, სწავლის მიზნებს, შედეგებს, შინაარს, შეფასების სისტემას. მათ იციან, რომ აქვთ საკონსულტაციო საათით სარგებლობის უფლება, და სტუდენტები საკმაოდ ხშირად სარგებლობენ აღნიშნული მომსახურებით. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი საკმაოდ ხშირად მართავს კონფერენციებს და სტუდენტთა მხრიდან ჩართულობაც საკმაოდ მაღალია, ასევე სტუდენტები დაინტერესებულნი არიან გაცვლითი

პროგრამებით თუმცა პანდემიის პერიოდში მათ ვერ მოახერხეს ამ სერვისით სარგებლობა. კურსდამთავრებულთა ნაწილი, იმყოფებოდა გაცვლით პროგრამაზე და ისინი დიდ კმაყოფლებას გამოთქვამენ ამ შესაძლებლობის გამოყენებისათვის. ასევე სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის ძლიერი მხარე ზუსტად ბევრი გაცვლით პროგრამაში მონაწილების შესაძლებლობაა და უნივერსიტეტის არჩევისას პრიორიტეტი სწორედ ეს შესაძლებლობა გახლდათ. უნივერსიტეტის სპეციალური სამსახური, სტუდენტებს პერიოდულად სთავაზობს სხვადასხვა ვაკანსიებს მეილზე შეტყობინებების სახით. ასევე უზრუნველყოფს პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრებს. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ამ კუთხით სტუდენტები ისურვებდნენ უნივერსიტეტის მეტად გაძლიერებას .
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❱ თვითშეფასების დოკუმენტი; ❱ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ❱ საერთაშორისო უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; ❱ სტუდენტის/პროფესორის/ადმინისტრაციის ელექტრონული პორტალი; ❱ გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. უნივერსიტეტში მოქმედებს სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის წესი. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი არის კვალიფიცური სფეროში, მათ აქვთ შესაბამისი თეორიული ცოდნა და გამოცდილება დარგში, რაც ქმნის იმის წინაპირობას, რომ მათ შესწევთ უნარი გაუწიონ

ხელმძღვანელობა სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომების წერის პროცესში. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა ხდება თავად სტუდენტების მიერ და მათ ამ კუთხით სრული თავისუფლება ეძლევათ. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ნაშრომის წერის პროცესი ორივე მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობით მიმდინარეობს, ხელმძღვანელები გარკვეული ინტენსივობით ხვდებიან სტუდენტებს და აძლევენ უკუკავშირს და კონსულტაციას თემატიკებზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებისას გამოვლინდა, რომ დაწესებულებას აქვს პლაგიატის ამომცნობი სისტემა, რომელსაც ხელმძღვანელები იყენებენ ნაშრომების შემოწმებისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამაში მონაწილე პირთა CV o კონსულტაციების განრიგი o ბსუ-საკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №06-01/50 დადგენილება ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“; o ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის 3 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ-პროფესორი და 7 უფროსი მასწავლებელი, 1 მოწვეული მასწავლებელი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია. ასევე პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები, მათ აქვთ ის კომპეტენცია, რაც აუცილებელია სწავლის შედეგების მიღწევისათვის, რაც დასტურდება მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებით, სამეცნიერო კონფერენციებსა და საგრანტო პროეტებში მონაწილეობით. ახალი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ვინაიდან ისინი აფილირებულნი არიან ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ძირითადი დატვირთვა გააჩნიათ ამ უნივერსიტეტში; პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ საკმაოდ დიდი გამოცდილება და წვლილი პროგრამის შემუშავებაში. ისინი უშუალოდ იღებენ მონაწილეობას პროგრამის თითოეულ კომპონენტის შექმასა და დახვეწაში. პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - ბსუ-ს წესდება - ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულება
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ში შემუშავებულია ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, სილაბუსების განხილვა-სრულყოფის, სასწავლო მასალის მომზადების პროცესში, სამეცნიერო ღონისძიებებსა და საგრანტო პროექტებში პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობის შეფასებას, სასწავლო პროცესების მონიტორინგს, სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივ ანალიზს, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას და სხვა.

ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია ინტერნაციონალიზაციის სეგმენტი, რაც გამოიხატება მასში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობაში საერთაშორისო კონფერენციებში, საგრანტო პროექტებში და სხვა.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს, როგორც მათი სასწავლო, ასევე კველვითი საქმიანობის შეფასებას და მისი შედგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის;

პერსონალი უზრუნველყოფილია შესაბამისი სამუშაო ფართით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. თვითშეფასების ელექტრონული სისტემა
2. აკადემიური პერსონალის CV
3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
4. ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ინტერნაციონალიზაციის სეგმენტის გაძლიერება რაც გამოიხატება გაცვლით პროგრამებში როგორც აკადემიური ისე მოწვეული პერსონალის აქტიურ მონაწილეობაში და უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობის გაძლიერებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
საგანმანათლებლო პროგრამა „ეკოლოგია“ უნივერსიტეტის მხრიდან უზრუნველ-ყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით (სასწავლო ლაბორატორიები, ლაბორატო-რიული აღჭურვილობა და ინვენტარი, ბიბლიოთეკა, ინტერნეტ რესურსები და სხვა), რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის შესწავლისას გამოყენებული ლიტერატურა ემყარება დარგობრივ საკითხებს. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია უნივერსი-ტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდები. აგრეთვე, ბსუ დარეგისტრირებულია პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის - eLFL“ კონსორციუმის წევრად, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, გამოიყენოს მრავალფეროვანი ელექტრონული რესუსები. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა. გაფორმებულია თანამშრომლობის მომერანდუმი მრავალრიცხოვან ორგანიზა-ციებთან, რაც ხელს უწყობს სასწავლო-სამეცნიეორო საქმიანობისათვის რესურსების გამოყენებას. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა - ბსუ- ს ბიბლიოთეკის კატალოგი - მემორანდუმები

- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება როგორც სტუდენტთა გრანტებით და სტუდენტთა გადასახადებით, ისე უნივერსიტეტის ბიუჯეტით. უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია: აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება, კვლევითი პროექტების დაფინანსება, ლიტერატურის, კომპიუტერული ტექნიკის, ლაბორატორიული დანადგარებისა და სხვა ინვენტარის შეძენა, სტიპენდიისა და სასწავლო–სოციალური პროგრამების დაფინანსება, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები.

პროგრამის დაფინანსებისათვის არსებული რესურსები მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს და იძლევა იმ ოდენობის კონტინგენტის მაღალხარისხიანი მომზადების საშუალებას, რაზეც კეთდება განაცხადი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ ბიუჯეტი
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის შეფასების საჭირო ინსტრუმენტები და მეთოდები, პერიოდულობით ტარდება გამოკითხვები და მიღებული შედეგების საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები სასწავლო და კვლევითი პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს თანმიმდევრულ პროცესებს, შესაბამის მექანიზმებსა და პროცედურებს. ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინაციას უწევს ბსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის საქმიანობის ძირითადი სფეროებია: სწავლების და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება; რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის სრულყოფის მიზნით; ავტორიზაციის და აკრედიტაციის თვითშეფასების პროცესების ორგანიზება და სხვა საკითხები, რომელიც მოცემულია ბსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში.

ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლების, სტუდენტების, პროფესორების) მიერ, პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისათვის საჭირო მიმდინარე პროცესების ანალიზისა და მასზე მორგებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბებით.

ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობას და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს, როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და კოორდინატორები დარგობრივ დეპარტამენტებში. ხარისხის შიდა შეფასების მიზნით გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემაც, რომელიც მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონენტებს და ასახავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი; ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ახორციელებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად, ერთმანეთთან დაკავშირებულ ელემენტს: დგეგმვა, განხორციელება, შეფასება და განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- შეფასების კითხვარები
- პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ში საგანმნათლებლო პროგრამები რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. ისინი განიხილავენ და ასრულებენ ეროვნული ან/და საერთაშორისო აკრედიტაციის დროს მიღებულ რეკომენდაციებს.

2015 წელს ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, რომლის დროს გამოთქმული რეკომენდაციები გათვალისწინებულია წარმოდგენილ პროგრამაში, ასევე გარე კოლეგიალური შეფასების მიზნით პროგრამა გაიგზავნა აკაკი წერეთელის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორებთან, ბიოლოგიის დოქტორ ემზარ გორდაძესთან და ბიოლოგიის დოქტორ ცირა ჟორჟოლიანთან, რომელთა რეკომენდაციებიც გათვალიწინებულია კურიკულუმში.

პროგრამის გარე შეფასების მიზნით, მოხდა მისი განხილვა დამსაქმებლებთან. დამსაქმებლები დადებითად აფასებენ კურსდამთავრებულთა მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობის, დამოუკიდებლობის (ავტონომიურობის), პასუხისმგებლობის უნარს. გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ მათი ორგანიზაციისათვის აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები პერსპექტიულია. შესაბამისად დადებითად შეფასდა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.

გარე შეფასების მექანიზმი ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის“ და „საგანმანათლებლო დაწესე-ბულებების ავტორიზაციის“ დებულებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საგანმანათლებლო პროგრამა
2. სასწავლო კურსის სილაბუსები
3. ბსუ-ს ხარისხის სამსახურის კვლევები
4. ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და პერიოდული შეფასების ორგანიზებას ახდენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით. რაც გულისხმობს მეცადინეობებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და შესაბამისი დარგის სპეციალისტების/დამსაქმებლების ჩართულობით. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❱ ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება ❱ სტუდენთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები ❱ ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება,ეკოლოგია

საფეხური: მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 26

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ვაჟა ტრაპაიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

გიორგი ბრეგვაძე

სოფიკო შარაბიძე